

საქართველოს კანონი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპის დამკვიდრებით, გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა.

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2393 - სსმ I, №55, 27.12.2005 წ., მუხ.380

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა – გარემოდან სასარგებლო წიაღისეულის, ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსების, მცენარეული არამერქნული რესურსების (მათ შორის სოჭის გირჩების), ზედაპირული წყლის რესურსებისა და ცხოველთა სამყაროს რესურსების ამოღება;

ბ) ტყის ფონდის ზეზეული ხეები – ტყის არეალში მყოფი მზარდი (ზეზემდგომი) ხეები;

გ) პირი – საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 3. მოსაკრებლის გადამხდელი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გადამხდელია:

ა) პირი, რომლის საქმიანობა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ლიცენზირებას (გარდა ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსებისა);

ბ) პირი, რომელიც ახორციელებს ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსების გარემოდან ამოღებას.

მუხლი 4. მოსაკრებლის ობიექტი

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე (ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით) გარემოდან ამოღებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ:

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა);

ბ) ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

გ) მცენარეთა არამერქნული რესურსების (მათ შორის სოჭის გირჩების) მოცულობა (რაოდენობა);

დ) წყლის რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

ე) ცხოველთა სამყაროს რესურსების (გარდა გადამფრენი ფრინველებისა) მოცულობა (რაოდენობა);

ვ) გადამფრენი ფრინველების რაოდენობა.

მუხლი 5. მოსაკრებლის განაკვეთი

1. წიაღით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სახეობებისა და მოცულობის (რაოდენობის) მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი	ზომის ერთეული	მოსაკრებლის ოდენობა ლარებში
საწვავი და ენერგორესურსები: ა) ნავთობი;	1 ტონა	21
ბ) გაზი; გ) ნახშირი; დ) ტორფი და საპროპელები.	1000 მ ³ 1 ტონა 1 ტონა	2 1 0.7
შავი ლითონები: ა) რკინა; ბ) მანგანუმი.	1 ტონა/1%-იანი შემცველობით	0.008 0.12
ფერადი ლითონები: ა) სპილენძი; ბ) ტყვია; გ) თუთია; დ) ანტიმონიტი; ე) კადმიუმი; ვ) ალუმინი;	1 ტონა 1 ტონა 1 ტონა 1 ტონა/1%-იანი შემცველობით 1 ტონა 1 ტონა	136 37 90 0.09 800 000 104 0.8



ზ) სტრონციუმი და სხვა.	1 ტონა	
კეთილშობილი ლითონები:	1 გრამი	0.9
ა) ოქრო;		1.3
ბ) პლატინოიდები;		0.015
გ) ვერცხლი.		
იშვიათი ლითონები, იშვიათი ელემენტები და იშვიათი მიწები	1 გრამი	1.5
სამთო-ქიმიური ნედლეული:		
ა) ანდეზიტი;	1 მ3	0.6
ბ) ბარიტი;	1 ტონა	1.8
გ) კალციტი;	1 ტონა	1.2
დ) ბენტონიტური თიხები;	1 ტონა	3.6
ე) დარიშხანის ნედლეული;	1 ტონა	20
ვ) დიატომიტი და სხვა.	1 ტონა	6
არამადნეული ნედლეული, მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულის ჩათვლით:		
ა) დოლომიტი;	1 ტონა	0.5
ბ) ცეცხლგამძლე თიხები;	1 ტონა	1
გ) საფლუსე კირქვები;	1 ტონა	0.5
დ) კვარცის ქვიშები საყალიბე და მინის წარმოებისათვის;	1 ტონა	1.5
ე) მინერალური პიგმენტები;	1 ტონა	200
ვ) ტალკი;	1 ტონა	1
ზ) ცეოლითი;	1 ტონა	1
თ) კაოლინი;	1 ტონა	4.0
ი) ტრაქტი;	1 ტონა	0.3
კ) პეგმატიტი;	1 ტონა	0.3
ლ) ლითოგრაფიული ქვა და სხვა.	1 მ3	2
მვირფასი ქვები	1 კარატი	1
საშენი მასალები:		
ა) საცემენტე ნედლეული (კირქვა);	1 ტონა	0.14
ბ) თაბამირი;	1 ტონა	0.7
გ) გაჯი;	1 ტონა	1.0
დ) პერლიტი;	1 ტონა	1.8
ე) მოსაპირკეთებელი ქვები;	1 მ3	1
ვ) ხრეში, ქვიშა;	1 მ3	0.2
ზ) სააგურე თიხები;	1 მ3	0.35
თ) სახერხი ქვები და სხვა.	1 მ3	0.7
მინერალური წყლები, გარდა ამ პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მინერალური წყლებისა	1 მ ³	3
სამკურნალო ტალახი	1 ტონა	1
მიწისქვეშა თერმული წყლები	7000 კკალ	0.003
მიწისქვეშა მტკნარი წყლები:	1 მ ³	4
ა) ჩამოსასხმელი;		0.005
ბ) საყოფაცხოვრებო.		
მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამამუშავების ნარჩენები	1 ტონა	0.2
სამთამადნო საწარმოთა გამდიდრების კუდები	1 ტონა	0.18

ბ) „ბორჯომის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 1 მ³ წყალზე შეადგენს 10 ლარს;

გ) „ნაბელავის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 1 მ³ წყალზე შეადგენს 6 ლარს;

დ) „საირმის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 1 მ³ წყალზე შეადგენს 6 ლარს;

ე) „უწერის“ მინერალური წყლით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი 1 მ³ წყალზე შეადგენს 4 ლარს;

ვ) მინერალური წყლებით სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება წყლის იმ მოცულობით, რომელიც მიეცემა პირს წიაღით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული წლიური ოდენობის მიხედვით. წლიური ოდენობის გაანგარიშებისას გაითვალისწინება მინერალური წყლების სასაქონლო პროდუქციის წარმოების ნებართვით განსაზღვრული პირობები.

ზ) ნახშირორჟანგით (გაზი CO₂) სარგებლობისათვის წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ნახშირორჟანგის (გაზი CO₂) იმ მოცულობით, რომელიც მიეცემა პირს წიაღით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული ყოველდღიური ლიმიტის ოდენობით. ნახშირორჟანგით (გაზი CO₂) სარგებლობის მოსაკრებელი შეადგენს 20 ლარს 1 (ერთ) ტონაზე.

2. ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე გავრცელებული ტყის მერქნიანი სახეობების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სატყეო სანიხრე თანრიგებისა და მერქნული რესურსების სასაქონლო ხარისხის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:



ტყის მერქნის სახეობათა ჯგუფები (სახეობათა დასახელების ჩათვლით)	სანიხრე თანრიგი (მანძილი სარკინიგზო მაგისტრალამდე კმ - ში)	მოსაკრებლის ოდენობა ერთი მკვრივი კუბური მეტრისათვის ლარებში			საშუალო მერქნის ქერქით
		სამასალე მერქანი უქერქოდ (დიამეტრი წვრილ თავში)			
		მსხვილი 25 სმ და მეტი	საშუალო 13 სმ - დან 24 სმ - მდე	წვრილი 4 სმ - დან 13 სმ - დე	
1	2	3	4	5	6
I ჯგუფი უთხოვარი , ბზა , ღვია , ძელქვა , კაკალი	1. 10-მდე 2. 10-დან 25- მდე 3. 25-დან 40- მდე 4. 40 და მეტი	102 90 78 66	90 81 72 63	81 72 63 54	15 12 9 6
II ჯგუფი მუხა , წაბლი , იფანი , თელა , თუთა , ნეკერჩხალი , ცაცხვი , პანტა , სალსადაჯი	1. 10-მდე 2. 10-დან 25- მდე 3. 25-დან 40- მდე 4. 40 და მეტი	60 52 44 36	52 46 40 34	46 40 34 20	10 8 6 4
III ჯგუფი წიფელი , რცხილა , ჯაგრცხილა , აკაკი , ჭადარი , უხრაჯი	1. 10-მდე 2. 10-დან 25- მდე 3. 25-დან 40- მდე 4. 40 და მეტი	47 40 32 25	40 34 29 23	34 29 23 18	7 6 4 3
IV ჯგუფი ფიჭვი , ნაძვი , სოჭი , კედარი , კვიპაროზი , კრიპტომერია , ტუია	1. 10-მდე 2. 10-დან 25- მდე 3. 25-დან 40- მდე 4. 40 და მეტი	22 18 14 10	18 15 12 9	15 12 9 6	5 4 3 2
V ჯგუფი ტყის დანარჩენი მერქნის სახეობები	1. 10-მდე 2. 10-დან 25- მდე 3. 25-დან 40- მდე 4. 40 და მეტი	13 10 7 5	10 8 5 4	8 6 4 3	5 4 3 2

3. გარემოდან ამოღებულ მცენარეთა არამერქნული რესურსებით და მათი პროდუქტებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ყოველ კილოგრამზე, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

№	რესურსების დასახელება სახეობათა ჯგუფების მიხედვით	მოსაკრებლის ოდენობა (ლარი/კგ)
1.	კაკალი	0.2
2.	თხილი, წაბლი, წიფლის წიწიბო	0.1
3.	კუნელი, ასკილი, მაყვალი, შინდი, მოცვი, ქაცვი, ფშატი	0.08
4.	პანტა, მაქალო	0.05
5.	ტყემალი, ზღმარტლი, კვრინჩხი	0.07
6.	ჯონჯოლი, ღანძილი	0.1
7.	შქერის, დეკის, წყავის, ჭყორის, თრიმლის, თუთუბოს, ეკალიპტის, მოცვის, არყის ხის ნედლი ფოთლები	0.05
8.	გვირილის, ქრისტესისხლას, შავბალახას, ფარსმანდუკის, კრაზანას, ვარდვაჭაჭას, ორბილას, ხარისშუბლას, მათიტელას, თავშავას, მრავალმარღვას ნედლი მასა	0.5
9.	ჯადვარის, დათვის კენკრის, სვიის (გირჩები), ენდოს, ძაღლის სატაცურის (მიწის ქონი) ნედლი მასა	0.7
10.	სოჭის გირჩა	0.60
11.	მუხის ქერქი	0.3
12.	ზეზეულ ხეებზე შეჭრილი ნედლი ტოტები: ა) უთხოვრის; ბ) სხვა წიწვოვანი სახეობების.	0.3 0.2
13.	საკვები სოკოები: ა) ნიყვი; ბ) მანჭკვალა; გ) არყა; დ) დათვის სოკო;	0.3 0.05 0.04 0.1 0.07



	ე) სხვა საკვები სოკოები.	
14.	თეთრყვავილას ბოლქვები	0.1
15.	ყოჩივარდას გორგლები	0.1

4. წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) წყლის ობიექტების ჯგუფების მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

წყლის ობიექტა ჯგუფები (წყლის ობიექტა სახეობების დასახელების ჩათვლით)	მოსაკრებლის ოდენობა ერთ კუბურ მეტრზე ლარებში
I ჯგუფი (კასპიის ზღვის აუზის მდინარეები, ტბები და სხვა წყალსატევები)	0.01
II ჯგუფი (შავი ზღვის აუზის მდინარეები, ტბები და სხვა წყალსატევები)	0.005
III ჯგუფი (შავი ზღვის წყალი)	0.003

ბ) თბოსადგურებისათვის და სარწყავი სისტემებისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ3 წყალზე შეადგენს ამ მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტში შესაბამის წყლის ობიექტა ჯგუფებისათვის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობის 1 პროცენტს;

გ) ჰიდროელექტროსადგურებისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ3 წყალზე შეადგენს ამ მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტში შესაბამის წყლის ობიექტა ჯგუფებისათვის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობის 0,01 პროცენტს;

დ) კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის მტკნარი (მიწისქვეშა და ზედაპირული) წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 მ3 წყალზე შეადგენს 0,01 თეთრს.

5. ცხოველთა სამყაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ცხოველთა სამყაროს ობიექტების საქართველოში გავრცელებულ სახეობათა მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ცხოველთა სამყაროს ობიექტა ჯგუფები (ცხოველთა სამყაროს ობიექტა სახეობების დასახელებათა ჩათვლით)	მოსაკრებლის ოდენობა (მუქუმწოვრებისა და ფრინველებისათვის სახეობის ერთ ინდივიდზე , თევზებისა და წყლის ცხოველებისათვის ერთ ტონაზე) ლარებში
I ჯგუფი (დათვი)	1000
II ჯგუფი (გარეული ღორი)	100
III ჯგუფი ა) შველი ; ბ) ირემი .	500 1300
IV ჯგუფი (მგელი)	100
V ჯგუფი ა) ტურა ; ბ) მელა ; გ) მაჩვი ; დ) კვერნა ; ე) ენოტისებური ძაღლი , ენოტი , ნუტრია ; ვ) ტყის კატა .	15 50 20 20 1 10
VI ჯგუფი (კურდღელი)	2
VII ჯგუფი ა) ჯიხვი ; ბ) არჩვი ; გ) კავკასიური შურთხი .	1500 600 220
VIII ჯგუფი (სხვა მუქუმწოვრები)	2
IX ჯგუფი (ხოხობი)	15
X ჯგუფი ა) კაკაბი , გარეული ბატი ; ბ) გარეული იხვი .	4 1
XI ჯგუფი (სხვა ფრინველები)	1
XII ჯგუფი (ქაფშია)	25
XIII ჯგუფი ა) ქარსალა ; ბ) მერლანგი ; გ) ხონთქარა ; დ) ქაშაყი , პელამი , სამარიდა , სარღანი ; ე) ლუფარი ; ვ) სკუმბრია , სარდინი , სტავრიდა ; ზ) ფარგა .	10 15 40 40 30 20 50
XIV ჯგუფი ა) კეფალი , წვერა , ციმორი , მურწა ; ბ) შამაია ; გ) ლოქო .	120 90 60
XV ჯგუფი ა) თეთრი ამური , სქელშუბლა ; ბ) ტობი .	40 50



XVI ჯგუფი ა) კობრი ; ბ) ჭერები ; გ) კაპარჭინა ; დ) ნაფოტა ; ე) ქარიყლაპია .	40 70 30 10 10
XVII ჯგუფი (სიგა , პელიადი , ჭაფალა)	15
XVIII ჯგუფი (კატრანი)	80
XIX ჯგუფი ა) მდინარის კალმახი , ტბის კალმახი ; ბ) ორაგულისებრნი .	200 525
XX ჯგუფი (ზუთხისებრნი)	3000
XXI ჯგუფი ა) რაპანი ; ბ) მიდია .	6 8
XXII ჯგუფი ა) ხრამული ; ბ) ქაშაყი ; გ) ქარცხანა (კარასი) ; დ) ღორჯო ; ე) ჭანარი ; ვ) მცირე ვიშა ; ზ) კამბალა , კალკანი .	50 5 5 5 50 15 40
XXIII ჯგუფი (გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სხვა გარეული ცხოველები)	3000

6. გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებლის ოდენობა სეზონზე შეადგენს 10 ლარს.
საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონი №1504 - სსმ I, №29, 21.06.2005 წ., მუხ.182
საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1757 - სსმ I, №36, 11.07.2005 წ., მუხ.234
საქართველოს 2006 წლის 24 ივლისის კანონი №3497 - სსმ I, №35, 03.08.2005 წ., მუხ.253

მუხლი 6. მოსაკრებლის გადახდის და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი

1. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება საანგარიშოს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, გარდა შემდეგი ბუნებრივი რესურსებისა:

ა) ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება არა უგვიანეს ტყიდან მათი ტრანსპორტირებისა;

ა¹) მცენარეთა არამერქნული რესურსებით და მათი პროდუქტებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წინასწარ, ლიცენზიის მიღებამდე;

ბ) სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის რესურსების მოსაკრებელი გადაიხდება შესაბამისი წლის 1 დეკემბრამდე;

გ) გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წინასწარ, ლიცენზიის მიღებამდე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით;

დ) მინერალურ წყლებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა ამ პერიოდის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული წლიური ოდენობის მიხედვით თანაბარ ნაწილებად;

ე) თევზის რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წინასწარ, ლიცენზიის მიღებამდე გაცხადებული ოდენობის შესაბამისად;

ვ) ნახშირორჟანგზე (გაზი CO₂) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ამ პერიოდის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული ყოველდღიური ლიმიტის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილ ვადებში მოსაკრებლის გადამხდელი თავისი ადგილსამყოფლის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგენს მოსაკრებლის გაანგარიშებებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით.

საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1757 - სსმ I, №36, 11.07.2005 წ., მუხ.234
საქართველოს 2006 წლის 24 ივლისის კანონი №3497 - სსმ I, №35, 03.08.2005 წ., მუხ.253

მუხლი 7. შეღავათები

1. მოსაკრებლებისაგან თავისუფლდება მეტროპოლიტენის, წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემების, ინფრასტრუქტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისას მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა).

2. მოსაკრებელი უმცირდებათ 70 %-ით:

ა) იმ ბუნებათმოსარგებლებს, რომლებიც ეწევიან ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას;

ბ) აღდგენილი (კვლავწარმოებული) რესურსების მოცულობის (რაოდენობის) ფარგლებში იმ ბუნებათმოსარგებლებს, რომლებიც საკუთარი სახსრებით ახორციელებენ ბუნებრივი რესურსების აღდგენა-კვლავწარმოებას.



მუხლი 8. განსაკუთრებული შემთხვევები

1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობებით სარგებლობის მოსაკრებელი გადაიხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში: პათოლოგიური დაავადებების შედეგად გამხმარი, დიდთოვლიანობისა და ქარისაგან მოთხრილი ხეების რეალიზაციისა და მაგისტრალური გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, მილსადენების, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისას ჩატარებული ხეების ჭრების დროს. ასევე ამ სახეობებით სარგებლობის მოსაკრებელი გამოიყენება უკანონო ჭრების შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის) დაანგარიშებისათვის.

2. ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის, „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობებით სარგებლობის მოსაკრებელი გამოიყენება რესურსების უკანონო მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალის) დაანგარიშებისათვის.

მუხლი 9. მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირება

1. ამ კანონით განსაზღვრული მოსაკრებლების გადახდის ადმინისტრირება ევალუაბთ საგადასახადო ორგანოებს, გარდა ლიცენზიის ან/და ნებართვის გაცემამდე წინასწარ გადასახდელი მოსაკრებლისა, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

2. საგადასახადო ორგანოები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის IV-V კარებით დადგენილი წესით.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა

ამ კანონის დარღვევისათვის მოსაკრებლის გადახდელს დაეკისრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის VII კარით განსაზღვრული სანქციები და სხვა პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

თბილისი,

2004 წლის 29 დეკემბერი.

№ 946-რს

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონი №1504 - სსმ I, №29, 21.06.2005 წ., მუხ.182
2. საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1757 - სსმ I, №36, 11.07.2005 წ., მუხ.234
3. საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2393 - სსმ I, №55, 27.12.2005 წ., მუხ.380
4. საქართველოს 2006 წლის 24 ივლისის კანონი №3497 - სსმ I, №35, 03.08.2005 წ., მუხ.253

